დამარცხება მინსკში

გუშინდელ მატჩს თბილისის დინამოელებისათვის მინსკში ადგილობრივ “დინამოსთან” დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მოგების შემთხვევაში თბილისელები მტკიცედ ინარჩუნებდნენ საპრიზო - მესამე ადგილისათვის ბრძოლის შანსებს და რა თქმა უნდა, საგრძნობლად იუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას გათამაშების ცხრილში.

მაგრამ მოხდა პირიქით. თბილისელებმა დასაწყისში სწრაფი ტემპი შეთავაზეს მინსკელებს და ერთგვარ ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ მესხის და მეტრეველის გადაცემებს ცენტრში ვერ იღებდნენ პარტნიორები. სტუმრების დაცვა მოქმედებდა უშეცდომოდ. მოიგერიეს რა პირველი შეტევები, მასპინძლები გადავიდნენ კონტრიერიშზე. მთელი დატვირთვით ათამაშდა თბილისელთა დაცვა. სახიფათოდ გადიოდნენ მინსკელთა ფორვარდები თბილისელთა საჯარიმო მოედანზე და 25-ე წუთზე მუსტიგინმა, რომელმაც კარგად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს, ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში - 1:0.

მეორე ტაიმში სურათი აღარ შეცვლილა. ინიციატივა კვლავ მასპინძლების მხარეს იყო, ხოლო თბილისელთა ეპიზოდური იერიშები აღარ წარმოადგენდა მოინსკელთათვის პრობლემას. 67-ე წუთზე, საჯარიმო, რომელიც დაინიშნა თბილისელთა კარისაკენ, კვლავ კარგად გამოიყენა იგივე მუსტიგინმა და ძლიერი დარტყმით კარის მაღალ კუთხეში მეორე ბურთი მოათავსა - 2:0.

ამის შემდეგ თამაშში სიმწვავე აღარ იგრძნობოდა. თბილისელები აღარ ცდილან რაიმე ცვლილება შეეტანათ ანგარიშში, მაშინ, როდესაც მინსკელები კვლავ აგრესიულად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. 83-ე წუთზე ადამოვის მოწოდებიდან მალაფეევმა ძლიერი დარტყმით მესამე ბურთი გაახვია თბილისელთა კარში.

გაიმარჯვეს მინსკელებმა - 3:0.

ჩვენი გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, ბარქაია, მეტრეველი, მელაშვილი (ხუციშვილი), პეტრიაშვილი, მესხი.

“ლელო”, 17 ნოემბერი, 1963 წ.